

**ზურაბ მელქაძე**

**ქორუფციულ სამოხელეო  
დანაშაულზე გამოძიებისა და  
ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების  
ჩატარების თავისებურებები**

**თბილისი, 2017  
გამომცემლობა “იურისტების საზოგადოება”**



## **რედაქტორები**

### **ჯემალ გახოკიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,  
სამართლის დოქტორი

### **ირაკლი გაბისონია**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,  
სამართლის დოქტორი

## **რეცენზენტები**

### **მიხეილ მამნიაშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,  
სამართლის დოქტორი

### **დავით კარიაული**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,  
სამართლის დოქტორი



წიგნი გამოცემულია საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის  
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების  
ფაკულტეტის მხარდაჭერით

გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას #75; ტელ.: 238 35 99; 557 51 51 34

**Website: [www.law.ge](http://www.law.ge)**

**E-mail: [Lawyers.world@yahoo.com](mailto:Lawyers.world@yahoo.com);**

**<https://www.facebook.com/PublishingHouseLawyersWorld>**



ISBN 978-9941-9537-4-3

## რეზიუმე

ნაშრომში: „კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულთა გამოძიების თავისებურებები“ - ნაჩვენებია, რომ მმართველობის სფეროში ჩადენილი ნებისმიერი სახის კორუფციული სამოხელეო დანაშაული უარყოფითად აისახება სახელმწიფოს ნორმალურ ფუნქციონირებაზე და რეალურად ემუქრება ქვეყნის ეკონომიკურ საფუძვლებს. განხილულია კორუფციული ხასიათის ყველაზე გავრცელებული დანაშაულების: სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, სამენარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობის და ქრთამის აღების გამოვლენის, თავიდან აცილების და აღკვეთის პროცესში გამოძიებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების თავისებურებები. გამოკვლევაში მოცემულია ყველა ის ძირითადი კონცეპტუალური საკითხი, რომელიც განხილულ დანაშაულებზე გამოძიების დაწყებას ახლავს თან. კერძოდ, აღნიშნულ საქმეებზე დასადგენი გარემოებები, ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს სამოხელეო დანაშაულთა გამოვლენას და მისი ჩამდენი პირების მხილებას.

ავტორის მიერ ამ კატეგორიის საქმეებზე შემოთავაზებულია გამოძიების სრულყოფისათვის და ერთიანი საგამოძიებო პრაქტიკის დასაწინდებლად აუცილებელი პროცესუალური და ოპერატიული საქმიანობის ორგანიზაციული რეკომენდაციები.

# სარჩევი

<b>შესავალი .....</b>	<b>7</b>
<b>თავი 1. კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულთა გამოძიების თეორიული საფუძვლები .....</b>	<b>11</b>
1.1 კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაული როგორც გამოძიების ობიექტი .....	11
1.2 კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათება .....	18
1.3 მტკიცებულებების შეფასების თავისებურებები კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულთა საქმეებზე.....	21
1.4 კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულთა საკანონმდებლო რეგულირების თავისებურებები საზღვარგარეთის ქვეყნებში.....	32
<b>თავი 2. კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულთა გამოძიების პროცესუალური და ორგანიზაციული თავისებურებები.....</b>	<b>46</b>
2.1. გამოძიების საფუძვლები კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულთა საქმეებზე. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები.....	46
2.2. საგამოძიებო სიტუაციები კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულთა საქმეებზე.....	58
2.3. კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულთა საქმეებზე პრევენციული მეთოდების გამოყენების თავისებურებები ...	63
2.4. ფარული საგამოძიებო მოქმედებები .....	69
<b>თავი 3. კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულთა ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ტაქტიკური ხერხები და თავისებურებები .....</b>	<b>97</b>
3.1. დათვალიერება.....	98
3.2. ჩხრეკა და ამოღება.....	101
3.3. კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები.....	103
3.4. საბანკო ანგარიშების მონიტორინგი.....	105
<b>დასკვნა.....</b>	<b>108</b>



## გამოყენებული აბრევიატურები

1	სსკ	—	სისხლის სამართლის კოდექსი
2	მუხ.	—	მუხლი
3	სსსკ	—	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
4	ა.შ.	—	ასე შემდეგ
5	ე.ი.	—	ესე იგი
6	იხ.	—	იხილეთ
7	გვ.	—	გვერდი
8	თბ.	—	თბილისი
9	პროფ.	—	პროფესორი
10	Дис.	—	диссертация
11	Изд.	—	издательство
12	Юр. Лит.	—	юридическая литература
13	С.	—	страница
14	М.	—	Москва

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქვეყანაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციების დახასიათებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კორუფციის გავრცელების მასშტაბს, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფო უშიშროებას, ხელისუფლების ნორმალურ ფუნქციონირებას, კანონის უზენაესობას, დემოკრატიას, ადამიანის უფლებებს, სოციალურ სამართლიანობას და, რაც განსაკუთრებით ხაზგასასმელია, ქვეყნის ეკონომიკურ საფუძვლებს<sup>1</sup>. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ 2004 წლამდე ქვეყანაში საგადასახადო და საბაჟო სისტემის კრაზმა იმჟამინდელი, ხოლო არნახულმა ელიტარულმა კორუფციამ, 2012 წელს, შემდგომი ხელისუფლების ჩანაცვლება გამოიწვია.

თანამედროვე პირობებში ჩვენს ქვეყანაში დანაშაულთა გამოძიების პროცესი, როგორც მეთოდოლოგიურად, ასევე ნორმატიულად, უზრუნველყოფილია საქართველოს სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და სხვა კანონებით. ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში უმნიშვნელოვანეს ორიენტირს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია. დანაშაულთა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს არსებულ სამართლებრივ სისტემას, რადგან მას ერთგვაროვნება შეაქვს საგამოძიებო მოქმედებების პრაქტიკაში და ამით უზრუნველყოფს კანონიერების პრინციპის განხორციელების თანმიმდევრულობას. ამავე დროს, დანაშაულთა ახალი ფორმების წარმოქმნა რამდენადმე წინ უსწრებს გამოძიების აქამდე დაგროვილ გამოცდილებას; წარმოიქმნება გამოძიების ჩატარების ახალი ხერხების მოძებნის, მისი კრიმინალისტიკური უზრუნველყოფის, დანაშაულის ნიშნების დადგენის და დახასიათების მეთოდოლოგიის შემუშავების მწვავე აუცილებლობა და ამ მიმართებაში გამოწვევის არც კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულები წარმოადგენს.

სამწუხაროდ ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, რამდენიმე პოზიტიური სიახლის მიუხედავად, არ გაა-

1 ზ.მელქაძე. „კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულთა გამოძიების თავისებურებები“. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „პროგრესი“, 1-2, 2017; გვ.30.

მართლა მოსალოდნელი იმედები. მასში არსებული ხარვეზების გათვალისწინებით ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს კოდექსი მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების მყარი გარანტი გახდეს, ხელი შეუწყოს სამართლიანობის დამკვიდრებას, სწრაფი და ამავდროს ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

საქართველოს კანონით „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, კორუფცია განმარტებულია როგორც თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობების გამოყენება კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით; „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის ძირითად მიმართულებებში“ კი - როგორც „საჯარო ხელისუფლების ბოროტად გამოყენება პირადი ან ჯგუფური გამორჩენის მიღების მიზნით“. სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციებსა და აქტებშიც არ მოიძებნება კორუფციის ერთგვაროვანი განმარტება.

საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების დანაყოფების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სამოხელეო დანაშაულებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა: სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (სსკ 332-ე მუხლი), სამენარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა (სსკ 337-ე მუხლი) და ქრთამის აღება (სსკ 338-ე მუხლი), რასაც მათი მკვეთრად გამოხატული კორუფციული ხასიათი განაპირობებს<sup>2</sup>. ამ დანაშაულების სისხლისსამართლებრივი დახასიათებისა და კვალიფიკაციის განსხვავების მიუხედავად, კრიმინალისტიკურ ასპექტში ყველა მათგანი ერთ ჯგუფში შედის და ერთიან საგამოძიებო მეთოდებს მოითხოვს. მიუხედავად ხსენებული კატეგორიის დანაშაულთა გავრცელებული ხასიათისა, სოციალური საშიშროებისა და ბოლო წლებში ხელისუფლების მხრიდან მათთან ბრძოლის პოლიტიკურ რანგში აყვანისა, დღემდე ასეთი მეთოდიკა, ახალი საპროცესო კანონმდებლობის გათვალისწინებით, არ არსებობდა. მართალია სამოხელეო დანაშაულის სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური ასპექტების გამოკვლე-

---

2 იქვე.



ვას რამდენიმე ქართველი მეცნიერი აწარმოებდა (სხვადასხვა ხარისხის დეტალიზაციით – როგორც გამოძიების მეთოდის, ასევე ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ტაქტიკის ჩათვლით), მაგრამ მოცემულ გამოკვლევებში განხილული იყო კორუფციულ სამოხელეო დანაშაულთა გამოძიების მეთოდის მხოლოდ ცალკეული მხარეები, ეყრდნობოდა ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობამდე არსებულ ვითარებას და შესაბამისად, მოცემული გამოკვლევები კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულთა გამოძიების მიმდინარეობისას წარმოქმნილ პრობლემებს და ამ სფეროში არსებულ ყველა საინტერესო საკითხს სრულად ვერ მოიცავდა, რის გამოც საგამოძიებო დანაყოფების საქმიანობის პროცესში არცთუ იშვიათად დღემდე თავს იჩენს ერთიანი საგამოძიებო ტაქტიკის შეუთანხმებლობა, საქმის მასალების მტკიცებულებითი უზრუნველყოფის, ასევე გამოსავლენ პირთა წრის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა. ერთიანი აზრი არ არსებობს უცხო ქვეყნების ავტორთა შორისაც. ასეთი მეთოდის უქონლობა საშუალებას არ იძლევა გადაწყდეს გამოძიების ისეთი პირველხარისხოვანი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია: ა) თანამდებობის პირის სტატუსის განსაზღვრასთან; ბ) მისი კავშირების და თანამონაწილე პირების დადგენასთან; გ) კორუფციული სამოხელეო დანაშაულის მომზადების და ჩადენის საერთო ხერხებთან; დ) სხვადასხვა დოკუმენტში (ბრძანებებში, ხელშეკრულებებში, სადამფუძნებლო, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების დოკუმენტებში, სხვა წყაროებში) კვალის წარმოშობის კანონზომიერების გამოვლენასთან; ე) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგების უნიფიკაციასთან; ვ) სასამართლო ექსპერტების დასკვნებთან და ჩვენებებთან.

კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულთა ზოგადი გამოკვლევის არარსებობამ შესაძლოა პრაქტიკოს მუშაკებს ჩამოუყალიბოს აზრი, რომ ამ დანაშაულთა გამოძიება უნდა დაეყრდნოს მხოლოდ პირად გამოცდილებას, რასაც სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებამდე მივყავართ.

კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულთა გამოძიების პრობლემების შესწავლას და გადაწყვეტას ასევე აქვს მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური დატვირთვა. ამ დანაშაულთა გამოძიება უნდა განხორციელდეს არა მხოლოდ გამომძიებლებისთვის, არამედ ადვოკატებისთვის და საზოგადოებისთვის გასაგები და ხელმისაწვდომი სამართლებრივი საშუალებებით. ამ ჯგუფის დანაშაულთა გამოძიების მეთოდის სიზუსტე და ერთგვაროვნება კანონიერების მიღწევის გარანტიაა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შერჩეულ თემაზე ჩატარებული გამოკვლევა ნაკარნახევია ერთის მხრივ კორუფციული ხასიათის სამოხელეო დანაშაულთა შესახებ სისტემური, სრულყოფილი, უახლესი სამეცნიერო ცოდნის მიღების ობიექტური აუცილებლობით და მეორეს მხრივ - დანაშაულთა გამოვლენასა და გამოძიებაში არსებული პრობლემების სწორად მიგნებაში, მათ რანგირებაში და ამის საფუძველზე ამ კატეგორიის საქმეთა გამოძიების პროცესუალური, კრიმინალისტიკური და ორგანიზაციული ასპექტების დახვეწასა და გაუმჯობესებაში, რაც საბოლოოდ საქმეთა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოძიებას უზრუნველყოფს.

ნაშრომი სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს დაეხმარება აღნიშნული კატეგორიის დანაშაულთა ყოველმხრივი, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების ჩატარებასა და კანონიერი გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც თავიდან აგვაცილებს ამ კატეგორიის დანაშაულთა გამოძიებისას არსებულ მავნე პრაქტიკას.